



მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

მშენებლობა
Construction

ფაკულტეტი

სამშენებლო
Civil Engineering

პროგრამის ხელმძღვანელი

პროფესორი თამაზ ხმელიძე

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში არჩეული სამაგისტრო თემატიკის შესაბამისი სპეციალიზაციით მიენიჭება საგანმანათლებლო პროგრამის არანაკლებ 120 კრედიტის შესრულების შემთხვევაში:

- ა) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის** სპეციალიზაციით;
Engineering master in construction with major in Civil and Industrial construction;
- ბ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლების** სპეციალიზაციით;
Engineering master in construction with major in soil mechanics and base-foundations;
- გ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **მშენებლობის ტექნოლოგიის** სპეციალიზაციით;
Engineering master in construction with major in construction technology;
- დ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **კომპიუტერული პროექტირება მშენებლობაში** სპეციალიზაციით;
Engineering master in construction with major in Computer projecting in Construction;
- ე) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **წყალმომარაგება და წყალარინების** სპეციალიზაციით;
Engineering master in construction with major in water - supply and sewerage;
- ვ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობის** სპეციალიზაციით;
Engineering master in construction with major in hydro electrical stations hydro power engineering;
- ზ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **სამდინარო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის** სპეციალიზაციით;
Engineering master in construction with major in river hydro technical structures construction;
- თ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **საზღვაო ნაგებობების მშენებლობის** სპეციალიზაციით;
Engineering master in construction with major in marine facilities construction;
- ი) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში **ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის** სპეციალიზაციით;

- Engineering master in construction with major in bridges and tunnels construction;
- კ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში რკინიგზის მშენებლობის სპეციალიზაციით;
- Engineering master in construction with major in railway construction;
- ლ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში ნაგებობათა გამოცდა და ტექნიკური ექსპერტიზის სპეციალიზაციით;
- Engineering master in construction with major in testing structures and technical expertise;
- მ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში საშენი მასალების სპეციალიზაციით;
- Engineering master in construction with major in building materials;
- ნ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში თბოაირმომარაგება და ვენტილაციის სპეციალიზაციით;
- Engineering master in construction with major in thermal gas supply and ventilation;
- ო) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობის სპეციალიზაციით;
- Engineering master in construction with major in motorways and airport construction.
- პ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში გაზომარაგების სისტემების მშენებლობისა და ექსპლუატაციის სპეციალიზაციით;
- Engineer Master in Construction of Construction and maintenance of gas supply systems specialization;
- ჟ) ინჟინერიის მაგისტრი მშენებლობაში სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგი მშენებლობის სპეციალიზაციით
- Engineer Master in Construction of Structural Mechanics and Seismoproof construction specialization;

სწავლების ენა

ქართული

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც ჩაირიცხება სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდა და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები). გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდება სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე <http://www.gtu.ge/study/index.php> გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. პროგრამაზე ჩაირიცხვა სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით.

პროგრამის აღწერა

პროგრამა შედგენილია ECTS სისტემით, 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია სასწავლო გეგმაში. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (ECTS). ერთი აკადემიური წლის განმავლობაში – 60 კრედიტი, სემესტრში – 30 კრედიტი; დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არაუმეტეს 75 (ECTS) კრედიტისა ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები;

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა გრძელდება 2 წელი (4 სემესტრი). სემესტრი მოიცავს 20 კვირას, აქედან სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 15 კვირას, სტუ-ს რექტორის მიერ სემესტრის დაწყებამდე გამოიცემა და ვებგვერდზე ქვეყნდება აკადემიური კალენდარი

დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები და შუალედურ შეფასებებში გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი.

შუალედური შეფასებისა და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამური - 41-50 ქულის დაგროვებისას (FX შეფასება - ვერ ჩააბარა), ან აღნიშნული შეფასებების ჯამური 51 და მეტი ქულის დაგროვებისას, მაგისტრანტს აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. დასკვნით და დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

მაგისტრანტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში შედგება შუალედურ შეფასებასგან, რომელიც თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას, და დასკვნით გამოცდასგან. შეფასების თითოეულ კომპონენტს გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის მიერ და გაწერილია სილაბუსებში.

საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს შემდეგი სპეციალიზაციების შესაბამის სამაგისტრო თემატიკებს:

1. სამოქალაქოდასამრეწველომშენებლობა;
2. გრუნტების მექანიკა და ფუძე-სადირკვლები;
3. მშენებლობის ტექნოლოგია;
4. კომპიუტერული პროექტირება მშენებლობაში;
5. წყალმომარაგება და წყალარინება;
6. ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა;
7. სამდინაროჰიდრო ტექნიკური ნაგებობების მშენებლობა;
8. საზღვაო ნაგებობების მშენებლობა;
9. ხიდებისა და გვირაბების მშენებლობა;
10. რკინიგზის მშენებლობა;
11. ნაგებობათა გამოცდა და ტექნიკური ექსპერტიზა;
12. საშენი მასალები;
13. თბოაირმომარაგება და ვენტილაცია;
14. საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებლობა;
15. გაზმომარაგების სისტემების მშენებლობა და ექსპლუატაცია;
16. სამშენებლო მექანიკა და სეისმომედეგი მშენებლობა.

თითოეული სპეციალიზაციის სამაგისტრო სასწავლო კომპონენტი არ არემატება 75 კრედიტს.

თითოეული სპეციალიზაციის სამაგისტრო კვლევითი კომპონენტი არ არემატება 45 კრედიტს და შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

სამაგისტრო კვლევის პროექტი /პროსპექტუსი - 5 კრედიტი, II სემესტრი;

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი - 10 კრედიტი, III სემესტრი;

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა - 30 კრედიტი, IV სემესტრი.

სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი

სამაგისტრო კვლევის პროექტი – პროსპექტუსი წარმოადგენს მიმოხილვითი კვლევისა და ანალიზის შედეგს, სამაგისტრო ნაშრომის წინასწარ მონახაზს, რომელიც მაგისტრანტმა უნდა დაასრულოს სწავლის მეორე სემესტრში.

პროსპექტუსში უნდა ჩანდეს საკვლევი საკითხის აქტუალობა, შერჩეული თემის თეორიული, პრაქტიკული ღირებულება. ავტორმა უნდა იცოდეს თუ რა ტიპის რესურსებს (ლიტერატურა, სტატისტიკა) დაეყრდნობა და სად შეიძლება ამ რესურსის მოძიება. პროსპექტუსი უნდა მოიცავდეს შესაბამისი ლიტერატურის დამუშავების შედეგებსა და აუცილებელ ბიბლიოგრაფიას, აგრეთვე, საკითხის კვლევის ისტორიას. მოკლედ უნდა იყოს წარმოდგენილი რა არის გაკეთებული ამ მიმართულებით და რა კეთდება ამჟამად (ვინ მუშაობს და რა მიმართულებით). ავტორმა უნდა ჩამოაყალიბოს კვლევის ძირითადი საკითხები, წარმოადგინოს სამუშაო გეგმა.

სამაგისტრო კვლევის პროექტის – პროსპექტუსის მოცულობა უნდა იყოს დაახლოებით 8–10 გვერდი დანართების გარეშე.

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი

თეორიული/ექსპერიმენტული კვლევის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის მიერ დამოუკიდებელი მუშაობის უნარის გამომუშავება, მკაფიო წარმოდგენის შექმნა მთავარი პროფესიული ამოცანების

გადასაწყვეტად, კვლევის თანამედროვე მეთოდების დაუფლება, მუშაობის დროს წამოჭრილი საკითხების დამოუკიდებლად ჩამოყალიბება და გადაჭრა. კვლევის ფარგლებში მას ევალება ერთი კოლოკვიუმის მომზადება. კოლოკვიუმი ითვალისწინებს სამაგისტრო თემასთან/მის ცალკეულ ნაწილთან დაკავშირებული მასალის წარმოდგენას და პრეზენტაციას. კოლოკვიუმის ძირითადი მიზანია მაგისტრანტის ცოდნის სისტემატიზაცია, გაწეული მუშაობის შედეგების წარმოდგენა/პრეზენტაცია, პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციისათვის აუცილებელი უნარის გამომუშავება. კოლოკვიუმზე მაგისტრანტმა უნდა წარმოაჩინოს, რა მოცულობითა და სიღრმითაა გამოკვლეული კონკრეტული საკითხი, წარმოადგინოს მიღებული შედეგები. კოლოკვიუმზე წარსადგენი ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს დაახლოებით 12–15 გვერდი დანართების გარეშე.

სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა (საკვალიფიკაციონაშრომი)

საკვალიფიკაციო ნაშრომი კვლევითი კომპონენტის ძირითადი ნაწილია. დასრულებული საკვალიფიკაციო ნაშრომი უნდა წარმოადგენდეს მაგისტრანტის დამოუკიდებელი კვლევითი მუშაობის შედეგს. საკვალიფიკაციო ნაშრომში ასახული უნდა იყოს ჩატარებული თეორიული/ექსპერიმენტული კვლევით მიღებული შედეგები. სამაგისტრო ნაშრომის მოცულობა უნდა იყოს, როგორც წესი, არანაკლებ 70 და არაუმეტეს 4/100 გვერდისა, დანართების გარეშე.

დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ დოკუმენტებში:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დებულება მაგისტრატურის შესახებ -

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_debuleba_2017_SD.pdf

მაგისტრანტის პერსონალური სამუშაო გეგმა -

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_3%20danar_%20%2080817_SD.pdf

მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი -

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/mag_deb_dan4_80217_SD.pdf

მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი ნაშრომის გაფორმების ინსტრუქცია -

http://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/magist_debuleba_dan5_2017_SD.pdf

პროგრამის მიზანი

- შექმნას სასწავლო გარემო, რომელიც უზრუნველყოფს მაგისტრანტის პიროვნული თვისებების განვითარებას და პროფესიული მოქმედებისათვის აუცილებელი კომპეტენციების ფორმირებას;
- მოამზადოს მშენებლობის მაგისტრანტი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ცოდნითა და უნარებით აღჭურვილი, შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად, დამოუკიდებლად შეძლებს სამშენებლო სივრცის ათვისების დაწყებას და სამშენებლო პროცესების სწორად წარმართვას;
- შეასწავლოს მშენებლობის დარგში არსებული რთული საინჟინრო პრობლემების გადაჭრა ახალი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- შეასწავლოს საპროექტო ნორმატიულ დოკუმენტაციაზე დამოუკიდებლად მუშაობა და ხარისხზე ორიენტირებული სამშენებლო ობიექტის საექსპლუატაციოდ გადაცემა;
- მოამზადოს აქტიური სპეციალისტი სამშენებლო დარგში ღირსეული კარიერისთვის, რომელიც მოტივირებული იქნება მეტს მიაღწიოს პროფესიული თვალსაზრისით.
- სამაგისტრო პროგრამა ხელს შეუწყობს სტუდენტის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამის სპეციალისტად ჩამოყალიბებას, ასევე გამოუმუშავებს გაცნობიერების, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, არგუმენტირებული დასკვნების გამოტანისა და ცოდნის სწრაფად განახლების უნარებს.

სწავლის შედეგები და კომპეტენტურობები (ზოგადი და დარგობრივი)

ცოდნა და გაცნობიერება. აქვს:

- სამშენებლო დარგის ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც აძლევს შესაბამისი სპეციალიზაციით ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავების საშუალებას;

- მშენებლობის დაპროექტების კონცეფციების, ტექნოლოგიური პროცესების ღრმა და სისტემური ცოდნა;
- მშენებლობის ინჟინრული მომზადებისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მაღალ დონეზე წარმოებისთვის საჭირო ცოდნა;
- მშენებლობის დაპროექტებისას პრობლემების გადაჭრის გზების ძიების უნარი;
- ინოვაციური კონსტრუქციებით სისტემების მშენებლობის ორიგინალური იდეების შემუშავება, მათ შორის თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გათვალისწინებით;
- ობიექტის საპროექტო გადაწყვეტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სისტემური ცოდნა;
- ნაგებობების დაპროექტების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს რისკ-ფაქტორების სწორად განსაზღვრისა და შეფასების უნარი;
- არსებული სამშენებლო ნაგებობების მდგომარეობის კვლევისა და საჭიროების შემთხვევაში მათი გაძლიერების ღონისძიებათა დამოუკიდებლად შემუშავებისა და განხორციელების უნარი;
- მშენებლობის პროცესში სამშენებლო ნორმებისა და წესების, ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსური საკითხების, ტერმინების, ძირითადი განსაზღვრებების, მეთოდების ღრმა და სისტემური ცოდნა.

აგნობიერებს:

- ტექნიკურად დასაბუთებული ორგანიზაციულ-ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების საჭიროებას არსებული პრობლემების გადაჭრის მიზნით;
- რისკ-ფაქტორების გათვალისწინებით ნაგებობების და სისტემების ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზებს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - შეუძლია:

- ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; დარგის კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის სპეციალიზაციების მიხედვით კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი მეთოდების გამოყენებით;
- დამოუკიდებლად ექსპერიმენტების დაგეგმვა, ანალიზი, მონაცემების მათემატიკური და სტატისტიკური დამუშავება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- მშენებლობისადმი წაყენებული მოთხოვნების გათვალისწინებით, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვით, სამუშაოთა დამოუკიდებლად წარმართვის უნარი;
- საწყისიდან საბოლოო სტადიამდე მშენებლობის, საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის დამოუკიდებლად განხორციელება ყველა ეტაპზე;
- პრაქტიკული და დამოუკიდებლად განხორციელებული კვლევითი სახის სამუშაოების შედეგების მიხედვით, შესრულებული სამუშაოს დანერგვა და ანგარიშების შედგენა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით;
- თანამედროვე ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით მშენებლობის დამოუკიდებლად მართვის უნარი;
- სამშენებლო - საპროექტო საქმიანობის ყველა სტადიის დამოუკიდებლად განხორციელება იდეიდან ბოლომდე.

დასკვნის უნარი

- პროფესიულ საქმიანობაში ნორმატიულ-სამართლებრივი დოკუმენტების გამოყენების სრული ინფორმაციის ფლობის საფუძველზე, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების უნარი;
- მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს რისკ-ფაქტორების სწორად აღქმის, შეფასებისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე რეზიუმირების უნარი;
- აქვს სამეცნიერო-ტექნიკური ლიტერატურიდან და ინტერნეტიდან დარგში უახლესი კვლევების ინფორმაციის მოძიების და კრიტიკული ანალიზის უნარი;
- მშენებლობის სტანდარტების გათვალისწინებით, ორიგინალურად შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზის უნარი;
- საპროექტო დავალების შესრულებისას მშენებლობისთვის გამოსაყენებელი თანამედროვე ტექნოლოგიების და მასალების მოძიების, პრაქტიკული სამუშაოს შესრულების და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის უნარი.

კომუნიკაციის უნარი - აქვს:

- საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით, დამოუკიდებლად დეტალური ანგარიშის მომზადების, და ინჟინერ-მშენებელთა საზოგადოებისთვის ინფორმაციის ქართულ და ინგლისურ ენაზე გადაცემის უნარი;
- არგუმენტირებულ დასკვნებზე და კვლევის მეთოდებზე დარგის სპეციალისტებთან მკაფიოდ და დეტალურად საუბრის, დისკუსიაში მონაწილეობის უნარი;
- სამშენებლო ტერმინოლოგიების გამოყენებით, საქმიანი დოკუმენტის დამოუკიდებლად შედგენის უნარი;
- შესაბამის ფორმატში აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარი.

სწავლის უნარი - აქვს:

- სწავლის პროცესის დამოუკიდებლად წარმართვის, სტრატეგიულად დაგეგმვის მაღალი დონე და მრავალმხრივად შეფასების უნარი;
- უნარი, დაინახოს კავშირი თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ მოღვაწეობას შორის, განსაზღვროს სწავლის საჭიროებები დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით შემდგომ საფეხურზე;
- განსაზღვროს და რეალიზება გაუკეთოს საკუთარი თვითშეფასების საფუძველზე, სასწავლო საქმიანობის პრიორიტეტებს და მის სრულყოფას.

ღირებულებები

- კურსდამთავრებულს აქვს ეთიკის ძირითადი კანონების დაცვით მოქმედების უნარი, ითავსებს მშენებლის პროფესიულ და ეთიკურ პასუხისმგებლობას საზოგადოების უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე, ასევე ესთეტიკურ ღირებულებებზე;
- ითავსებს ეკოლოგიური სისტემების პატივისცემისა და გარემოს დაცვის ვალდებულებებს;
- აქვს პროფესიული ღირებულებების (პატიოსნება, მოქალაქეობრივი შეგნება და აქტივობა, სიზუსტე, პუნქტუალობა, ობიექტურობა, ორგანიზებულობა და სხვა) დაცვის უნარი;
- მონაწილეობას იღებს ისეთი ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოების უსაფრთხოება, ჯანმრთელობა და კეთილდღეობა.
- მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის საჭიროების განსაზღვრის უნარი;

სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები და მეთოდები

ლექცია სემინარი (ჯგუფში მუშაობა) პრაქტიკული ლაბორატორიული პრაქტიკა საკურსო სამუშაო/პროექტი კონსულტაცია დამოუკიდებელი მუშაობა სამაგისტრო ნაშრომი

სწავლების პროცესში რომელიმე კონკრეტული საკითხის შესწავლა შეუძლებელია მხოლოდ ერთი მეთოდით. პედაგოგს სწავლების პროცესში უხდება სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, ასევე ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. სწავლების პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებს. გათვალისწინებული სწავლებისა და სწავლის ყველაზე გავრცელებულ მეთოდებს და მათ განმარტებებს. მათგან საჭირო მეთოდს, კონკრეტული მიზნიდან და ამოცანიდან გამომდინარე, შეარჩევს პედაგოგი.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

2. **თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება** – იმგვარი სწავლების სტრატეგიაა, სადაც ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის

თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს.

3. ჯგუფური (collaborative) მუშაობა – ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

4. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) - მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს კონკრეტულ პრობლემას.

5. ევრისტიკული მეთოდი – ეფუძნება დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს პროცესი სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

6. შემთხვევების შესწავლა (Case study) – პედაგოგი სტუდენტებთან ერთად განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს და ისინი ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, საინჟინრო უსაფრთხოების სფეროში ეს შეიძლება იყოს კონკრეტული ავარიის ან კატასტროფის განხილვა, პოლიტიკის მეცნიერებაში - კონკრეტული, მაგალითად, ყარაბახის პრობლემის (სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის) ანალიზი და ა. შ.

7. გონებრივი იერიში (Brain storming) – ეს მეთოდი გულისხმობს თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი განაპირობებს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. მეთოდის გამოყენება ეფექტიანია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის განსაზღვრა შემოქმედებითი კუთხით;
- დროის გარკვეულ მონაკვეთში საკითხის ირგვლივ მსმენელთა მიერ გამოთქმული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე);
- შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად;
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ გასაზღვრული კრიტერიუმებით;
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება დასმულ საკითხს;
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

8. როლური და სიტუაციური თამაშები – წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.

9. დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მოვაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.

10. ინდუქციური მეთოდი – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც

სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ.

11. **დედუქციური მეთოდი** – განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

12. **ანალიზის მეთოდი** – გვებმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

13. **სინთეზის მეთოდი** – გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას.

14. **ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი.** ამ მეთოდს მიეკუთვნება ლექცია, თხრობა, საუბარი და სხვ. აღნიშნულ პროცესში პედაგოგი სიტყვების საშუალებით გადასცემს, ხსნის სასწავლო მასალას, ხოლო სტუდენტები მოსმენით, დამახსოვრებითა და გააზრებით მას აქტიურად აღიქვამენ და ითვისებენ.

15. **წერითი მუშაობის მეთოდი** – რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის ან ესეს შესრულება და სხვ.

16. **ლაბორატორიული მეთოდი** – გულისხმობს შემდეგი სახის მოქმედებებს: ცდების დაყენება, ვიდეომასალის, დინამიკური ხასიათის მასალის ჩვენება და სხვ.

17. **პრაქტიკული მეთოდები** – აერთიანებს სწავლების ყველა იმ ფორმას, რომელიც სტუდენტს პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უყალიბებს. ამ შემთხვევაში სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, მაგალითად, საწარმოო და პედაგოგიური პრაქტიკა, სავიდეო მუშაობა და სხვ.

18. **ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პედაგოგს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

19. **ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პედაგოგისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

20. **პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია** – პროექტზე მუშაობისას სტუდენტი რეალური პრობლემის გადასაჭრელად იყენებს შეძენილ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. პროექტით სწავლება ამაღლებს სტუდენტთა მოტივაციასა და პასუხისმგებლობას. პროექტზე მუშაობა მოიცავს დაგეგმვის, კვლევის, პრაქტიკული აქტივობისა და შედეგების წარმოდგენის ეტაპებს არჩეული საკითხის შესაბამისად. პროექტი განხორციელებლად ჩაითვლება, თუ მისი შედეგები თვალსაჩინოდ და დამაჯერებლად, კორექტული ფორმით არის წარმოდგენილი. იგი შეიძლება შესრულდეს ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფურად; ასევე, ერთი საგნის ფარგლებში ან რამდენიმე საგნის ფარგლებში (საგანთა ინტეგრაცია); დასრულების შემდეგ პროექტი წარედგინება ფართო აუდიტორიას.

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 4/100 ქულიანი სკალით.

დადებითი შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-4/100 ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90 ქულა;
- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასაქმების სფერო

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შეძენილი ცოდნით კურსდამთავრებულებს შეეძლება წარმატებული მუშაობა და კარიერული ზრდა ინდუსტრიულ და კომერციულ საწარმოებში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, სამთავრობო სტრუქტურებში, საკონსულტაციო ფირმებსა და სააგენტოებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში, სამშენებლო და ენერგეტიკულ კომპანიებში, დარგის შესაბამის სამინისტროებში, მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურში, საავტომობილო გზების დეპარტამენტში; ქალაქების კომუნალურ სამსახურებში; ბანკებში; წყალმომარაგება-წყალარინების რეგიონალურ, საქალაქო და რესპუბლიკურ ორგანიზაციებში; თბოაირმომარაგება-ვენტილაციის და გაზმომარაგების დაპროექტების კომპანიებში, საქართველოს რკინიგზასა და სხვა ორგანიზაციებში. (კურსდამთავრებული დასაქმდება მაგისტრის კვალიფიკაციის შესაბამისი სტანდარტებით გათვალისწინებულ პოზიციებზე).

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური და მატერიალური რესურსით.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსის ჩამონათვალი (იხ. თანდართულ დოკუმენტებში, დანართი 4).

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი:

1. აუდიტორიები;
2. სამი კომპიუტერული ცენტრი;
3. ლაბორატორიები;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ჰიდროტექნიკური ნაგებობების, სატუმბი სადგურების, გრუნტების მექანიკისა და ტექნიკური მელიორაციის ლაბორატორიები;
5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპორტო ლაბორატორია
6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი;
7. არქივი.

თანდართული სილაბუსების რაოდენობა: 149

პროგრამის საგნობრივი დატვირთვა

**„სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ” I სამაგისტრო თემატიკის
„სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა“ საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	კომპოზიტიური კონსტრუქციები მშენებლობაში	არ აქვს	5			
5	მშენებლობის ექსპერტიზა	არ აქვს	5			
6	წინასწარ დამაბული რკინაბეტონის კონსტრუქციების თეორიული კვლევა	კომპოზიტიური კონსტრუქციები მშენებლობაში		5		
7	თხელკედლიანი და სივრცითი სისტემების მექანიკა	არ აქვს	5			
8	სპეციალური ხისა და პლასტმასის კონსტრუქციები	არ აქვს		5		
9	შენობა-ნაგებობათა გაანგარიშების თანამედროვე მეთოდები	არ აქვს		5		
10	ტრანსფორმირებადი (კოსმოსური, მიწისზედა) კონსტრუქციები და ნაგებობები	არ აქვს	5			
11	შენობა-ნაგებობათა დაპროექტება და ექსპლუატაცია სეისმურად აქტიურ რეგიონებში	შენობა-ნაგებობათა გაანგარიშების თანამედროვე მეთოდები			5	
12	ლითონის კონსტრუქციული ელემენტების გაანგარიშება და დაპროექტება	კომპოზიტიური კონსტრუქციები მშენებლობაში		5		
13	რკინაბეტონის კონსტრუქციები	არ აქვს			5	
14	შენობა-ნაგებობათა მზიდი კარკასის რეკონსტრუქცია-გადლიერება	არ აქვს			5	
15	მართვა, დაპროექტება და უსაფრთხოება საგანგებო სიტუაციებში	არ აქვს			5	
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			

კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**„გრუნტების მექანიკა და ფუძე-სადირკვლები“ (დასახელება) II სამაგისტრო თემატიკის
„გრუნტების მექანიკა და ფუძე-სადირკვლები“ საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დამუშავების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	გრუნტების მექანიკა	არ აქვს	9			
5	ფუძე-სადირკვლების ინჟინერია	გრუნტების მექანიკა		9		
6	ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემები მშენებლობაში	არ აქვს	6			
7	ფუძე-სადირკვლების გაძლიერება-გამაგრება	გრუნტების მექანიკა			10	
8	შენობა-ნაგებობათა მზიდი კარკასის რეკონსტრუქცია - გაძლიერება	არ აქვს		5		
9	ქალაქის საინჟინრო ნაგებობები	ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემები მშენებლობაში		6		
10	შენობა-ნაგებობათა ცვეთა	შენობა-ნაგებობების მზიდი კარკასის რეკონსტრუქცია -			10	

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
		გამლიერება				
11	გეოტექნიკური ინჟინერია	არ აქვს	5			
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**”მშენებლობის ტექნოლოგიის III სამაგისტრო თემატიკის
„მშენებლობის ტექნოლოგია” საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	გამოთვლითი პროცესების მათემატიკური მოდელების პროგრამული პაკეტი	არ აქვს	5			
5	საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი	არ აქვს	5			
6	სამშენებლო მასალათამცოდნეობა	არ აქვს	4			
7	სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია	არ აქვს		8		

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
8	სამშენებლო სპეციალური კონსტრუქციები	არ აქვს		5		
9	სამშენებლო კანონმდებლობა და ნორმატიული დოკუმენტაცია მშენებლობაზე	სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია			5	
10	შენობა-ნაგებობათა დიაგნოსტიკა, რეკონსტრუქცია, მოდერნიზაცია	სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია			5	
11	სპეციალური ნაგებობების აგების ტექნოლოგია	სამშენებლო წარმოების ტექნოლოგია			5	
12	სამშენებლო პროცესების ოპტიმალური და ვარიანტული ტექნოლოგიური გადაწყვეტები	არ აქვს		7		
13	მონოლითური შენობა-ნაგებობების აგების ტექნოლოგია	არ აქვს	6			
14	ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების გამოყენება მშენებლობაში	არ აქვს			5	
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**”კომპიუტერული პროექტირება მშენებლობაში IV სამაგისტრო თემატიკის
„კომპიუტერული პროექტირება მშენებლობაში” საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული)	არ აქვს		5		

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
	დარგობრივი ტექსტის თარგმანის 2.3 თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)					
3	კაპიტალდაზღვევის პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	მშენებლობის ამოცანების ამოხსნის რიცხვითი მეთოდები	არ აქვს	7			
5	სტრუქტურული დაპროგრამება C++ ენაზე	არ აქვს	8			
6	ოპტიმიზაციის მეთოდების გამოყენება მშენებლობაში	არ აქვს		9		
7	სამშენებლო სპეციალური კონსტრუქციები	არ აქვს			5	
8	სასრულ ელემენტთა მეთოდის გამოყენება მშენებლობაში	მშენებლობის ამოცანების ამოხსნის რიცხვითი მეთოდები			9	
9	მონაცემთა ბაზის მართვის სისტემა VisualFoxPro	არ აქვს		6		
10	ავტომატიზირებული დაპროექტების სისტემები მშენებლობაში	არ აქვს			6	
11	გამოთვლითი პროცესების მათემატიკური მოდელირების პროგრამული პაკეტი	არ აქვს	5			
12	შენობა ნაგებობათა მზიდი კარკასის რეკონსტრუქცია- გადლიერება	არ აქვს		5		
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი			30	
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**„წყალმომარაგება და წყალარინების“ V სამაგისტრო თემატიკის
„წყალმომარაგება, წყალარინება, წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა“ საგნობრივი
დატვირთვა**

№	საგანი	დამშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	წყლის მიწოდებისა და განაწილების სისტემების გაანგარიშების თეორია, მეთოდოლოგია და კომპიუტერული უზრუნველყოფა	არ აქვს			10	
5	დასახლებული ადგილებისა და სამრეწველო ობიექტების წყალმომარაგების და წყალარინების სისტემების დაპროექტება	არ აქვს			10	
6	წყალმომარაგებისა და წყალარინების სატუმბო სადგურების დაპროექტება	არ აქვს	10			
7	ბუნებრივი წყლების მიღება და გამწმენდი ნაგებობების დაპროექტება,,	წყალმომარაგებისა და წყალარინების სატუმბო სადგურების დაპროექტება		6		
8	ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობების დაპროექტება	წყალმომარაგებისა და წყალარინების სატუმბო სადგურების დაპროექტება		7		
9	წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება, მონიტორინგი და დაცვა	წყალმომარაგებისა და წყალარინების სატუმბო სადგურების დაპროექტება		7		
10	წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების საიმედოობა, პროექტირების საფუძვლები და მენეჯმენტი	არ აქვს	10			
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**”ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობის ” VI სამაგისტრო თემატიკის
„ჰიდროელექტროსადგურების ჰიდროტექნიკური მშენებლობა“ საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	საინჟინრო ჰიდროეკოლოგია	არ აქვს	6			
5	წყალდიდობების რისკების მართვა	არ აქვს	6			
6	ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტებისა და ექსპლუატაციის დროს სტატისტიკური მეთოდებისა და სტოქასტური მოდელების გამოყენება	არ აქვს	8			
7	ჰიდროელექტრო სადგურების მშენებლობის ეკონომიკური დასაბუთება	ჰიდროელექტროსადგურების დაპროექტებისა და ექსპლუატაციის დროს სტატისტიკური მეთოდებისა და სტოქასტური მოდელების გამოყენება		7		

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
8	საინვესტიციო პროექტების დაფინანსება ჰიდროენერგეტიკაში	არ აქვს			10	
9	ჰიდროტექნიკური მშენებლობის წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით	არ აქვს			10	
10	ჰესების დაპროექტება და ექსპლუატაციის რეჟიმები	არ აქვს		7		
11	ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის წარმოების ორგანიზაცია	არ აქვს		6		
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**“სამდინარო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის ” VII სამაგისტრო თემატიკის
“სამდინარო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა” საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	საინჟინრო ჰიდროეკოლოგია	არ აქვს	6			
5	წყალდიდობების რისკების მართვა	არ აქვს	6			
6	ჰიდროტექნიკური ნაგებობების სიმტკიცე და სეისმომდეგობა	არ აქვს		10		
7	მიწისქვეშა ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტება	ჰიდროტექნიკური ნაგებობების სიმტკიცე და სეისმომდეგობა			10	
8	ნაგებობების ჰიდრაულიკა	არ აქვს	8			
9	ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტება	ნაგებობების ჰიდრაულიკა			10	
10	ჰიდროტექნიკური მშენებლობის წარმოება თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით	არ აქვს		10		
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**„საზღვაო ნაგებობების მშენებლობის“ VIII სამაგისტრო თემატიკის
„საზღვაო ნაგებობების მშენებლობა“ საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	საინჟინრო ჰიდროეკოლოგია	არ აქვს	6			
5	ბუნებრივი კატასტროფები და უსაფრთხოების საინჟინრო ღონისძიებები	არ აქვს	5			
6	კომპიუტერული პროგრამირება საზღვაო მშენებლობაში	არ აქვს		10		
7	საზღვაო პორტები და კონტინენტური შეღფის ნაგებობანი	არ აქვს		10		
8	ტალღურ მოძრაობათა გაანგარიშების მეთოდები სანაპირო არეებში	არ აქვს	9			
9	სანაოსნო გზები და ნავსადგურები	არ აქვს			6	
10	საზღვაო ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის ორგანიზაცია და წარმოება	საზღვაო პორტები და კონტინენტური შეღფის ნაგებობანი			9	
11	საპორტო მშენებლობის ეკონომიკური დასაბუთება	არ აქვს			5	
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**”ხიდებისა და გვირაბების მშენებლობის ” IX სამაგისტრო თემატიკის
 “ ხიდებისა და სატრანსპორტო გვირაბების დაპროექტება, მშენებლობა და ექსპლუატაცია” საგნობრივი
 დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
			I	II	III	IV
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	საგზაო საინვესტიციო პროექტების რისკებისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება	არ აქვს			6	
5	ხელოვნური ნაგებობების ადგილის შერჩევისადმი სისტემური მიდგომა	არ აქვს	4			
6	საქალაქო მიწისქვეშა ნაგებობები და მეტროპოლიტენები	არ აქვს	9			
7	მიწისქვეშა ნაგებობების მექანიკა და სატრანსპორტო გვირაბების დაპროექტება სეისმურ ზონებში	არ აქვს			7	
8	სატრანსპორტო გვირაბების აღდგენა - რეკონსტრუქცია	საქალაქო მიწისქვეშა ნაგებობები და მეტროპოლიტენები		8		
9	ხელოვნური ნაგებობების გაანგარიშების მეთოდები და სეისმომედეგი ხიდები	არ აქვს		5		
10	დიდმალიანი რკინაბეტონის ხიდები	არ აქვს	7			
11	დიდმალიანი ფოლადის ხიდები	ხელოვნური ნაგებობების ადგილის შერჩევისადმი სისტემური მიდგომა		7		
12	დიდმალიანი ხიდების მშენებლობა და გამოკვლევა-გამოცდის თანამედროვე მეთოდები	დიდმალიანი რკინაბეტონის ხიდები, დიდმალიანი ფოლადის ხიდები			7	
სემესტრში			30	25	20	
სულ:			75			
კვლევითი კომპონენტი:						
1	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი	არ აქვს		5		

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
		I	II	III	IV	
2	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი	სამაგისტრო კვლევის პროექტი/პროსპექტუსი			10	
3	სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა	თეორიული /ექსპერიმენტული კვლევა/კოლოქვიუმი				30
სულ სემესტრში:			30	30	30	30
სულ წელიწადში:			60		60	
სულ:			120			

**”რკინიგზის მშენებლობის ” X სამაგისტრო თემატიკის
“რკინიგზის მშენებლობა” საგნობრივი დატვირთვა**

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
			I წელი		II წელი	
			სემესტრი			
		I	II	III	IV	
1	1.1 ბიზნესკომუნიკაცია (ინგლისური) 1.2 ბიზნესკომუნიკაცია (ფრანგული) 1.3 ბიზნესკომუნიკაცია (გერმანული) 1.4 ბიზნესკომუნიკაცია (რუსული)	არ აქვს	5			
2	2.1 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ინგლისური) 2.2 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (ფრანგული) 2.3 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (გერმანული) 2.4 დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (რუსული)	არ აქვს		5		
3	კაპიტალდაბანდების პოლიტიკა და ფინანსური გადაწყვეტილებები	არ აქვს	5			
4	ხელოვნური ნაგებობების ადგილის შერჩევისადმი სისტემური მიდგომა	არ აქვს	4			
5	საგზაო საინვესტიციო პროექტების რისკებისა და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება	არ აქვს			6	
6	ლიანდაგის გაანგარიშებები სიმტკიცესა და მდგრადობაზე	არ აქვს	10			
7	ლიანდაგისა და მოძრავი შემადგენლობის ურთიერთქმედება	არ აქვს		6		
8	ჩქაროსნული და სპეციალიზებული რკინიგზები	არ აქვს		8		
9	მატარებლის მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა რთულ პირობებში	არ აქვს			6	

№	საგანი	დაშვების წინაპირობა	ECTS კრედიტი			
